ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 4 1883—1893 28 თებერვალს.

სამაგალითო ბერი—მისიონერი შთამომავლობით სვანი.

სვანეთი არის საქართველოს ერთი შეუვალი და მიგდებული კუთხე, სადაც ჯერეთ კიდევ განათლების სხივს არ შეუნათებია. სვანებს აქვსთ თავიანთი საკუთარი ენა და თავიანთი ზნე-ჩვეულებანი. სვანური ენა მეგრულ ენასავით ქართული ენიდან არის წარმომდგარი. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ის, რომ სვანურ ენაში ბევრია ქართული სიტყვები და მეორეც სვანი რამდენსამე თვეს კარგად ითვისებს ქართულს ენას. თუმცა სვანებს საკუთარი ენა აქვსთ, მაგრამ შთამომავლობით ქართველებს ეკუთვნიან. სვანეთი მოფენილია მრავალი საყდრებით ჯ ხატებით, რომლებზედაც მოიპოვება ქართული წარწერები. ყოველივე ეს ცხადად მოწმობს, რომ სვანები უწინდელს დროში მტკიცედ ადგნენ მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას, მაგრამ შემდეგში სხვა-და-სხვა ისტორიულ გარემოებათა გამო მართლ-მადიდებელი სარწმუნოება სვანებში დასუსტდა. სვანები ზნეობით ჯ გონებით უკან ჩამორჩენ საქართველოს სხვა კუთხეების მკვიდრთა. სარწმუნოების დასუსტება და მკვიდრთა ზნეობით უკან ჩამორჩენა შედეგია იმისა, რომ სვანებს არა ჰყავდათ ხელრიანი სამდვდელოება. ამის გამო სვანებში გამოჩნდნენ ზოგიერთი მოხუცებულნი პირნი, რომელთაც იწყეს სხვა-და-სხვა მდვდელ-მოქმედების შესრულება. ამ პირთ სვანები უწოდებენ პაპებს ანუ დე-

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონზებს. ეს პაპები და დეკანოზები არ ემსგავსებიან ზოგიერთ მწვალებლებს სწავლა-მოძღვრებით ჯ საქციელით. როდესაც სვანებში მართლ-მადიდებელი მღვდლები ადარ იყვნენ, ხალხი უმღვდლოდ ასრულებდა სხვა-და-სხვა მღვდელ-მოქმედებათა, რომელთა შესრულების დროს წარმოსთქვამდენ იმავე ლოცვებს და სიტყვებს, რომელნიც მათ გაგონილნი ჰქონდათ მღვდლისაგან. მოხუცებული პირნი ასრულებდნენ წირვას შემდეგის წესით: ჩაასხამდენ ბარძიმში ვოტკას, ფეშხუმზე დასდებდენ შეწირული ცხოველის გულს და შემდეგ რამდენიმე ლოცვების წარმოთქმისა და ხალხის დალოცვისა, ჯერ თვითონ პაპები ეზიარებოდნენ და მერე ხალხი. მაზიარებელს პაპა ჯერ ბარძიმიდამ ვოტკას მოასმევინებდა ჯ მერე ფეშხუმზე დადებული გულის პატარა ნაჭერს მისცემდა. სვანები დიდის კრძალულებით ეპყრობიან წმ. ხატების ჯ ეკლესიების ნაშთებს ჯ ძველ საეკლესიო ნივთებს. თუ რამდენად პატივსცემენ სვანები ძველ სალმრთო საგნებს, ამას ცხადად ამტკიცებს, სხვათა შორის, ერთი გარემოება. 1874 წელში ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშოვმა ერთი სვანის ოჯახში იშოვნა ბერძნულს ენაზე ძველის ძველი ხელნაწერი დიდი წიგნი—„განმარტება სახარებისა“, რომელიც, ბ. კონდაკოვის სიტყვით, მეშვიდე საუკუნეში დაწერილი უნდა იყოს.

რადგან სვანეთი კარგა მოშორებულია და მასთან ძნელი შესავალია უგზობისა გამო, ამიტომ სვანეთში მღვდლად წასვლას არავინ არ სურვობს და თვითონ სვანებში დღემდის ძვირად მოიძებნებოდა ისეთი პირი, რომელსაც სასულიერო განათლება ჰქონოდა მიღებული და სურვილი განეცხადებია მღვდლად წასვლისა. კავკასიაში მართლ-მადიდებელი სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოება ლიდი ხანია ზრუნავს, რომ სვანეთში გაგზავნოს განათლებული მღვდლები, მაგრამ ამ საზოგადოების კეთილს აზრს ბევრი დაბრკოლება ხვდება წინ. პირველი დამბრკოლებელი მიზეზი ის არის, რომ სვანეთში მღვდლებს ძლიერ მცირე ჯამაგირები აქვსთ დანიშნული და მეორეც ისაა, რომ რადგან მისულმა მღვდლებმა სვანური ენა არ იციან, ამიტომ მათ სწავლა-მოძღვრებას სასურველი ნაყოფი არ მოაქვს ხალხისათვის. უმეტესი ნაწილი აქაური სამღვდელოებისა გაუნათლებელია.

ᲓᲦᲔᲡ, ჩვენდა სასიხარულოდ სვანებს შორის გამოჩნდა ერთი პირი, შთამომავლობით სვანი, სახელდობ მ. იგუმენი თეოფანე, რომელმაც შეისწავლა ქართული საეკლესიო წიგნები და ტიბიკონი, ადიკვეცა ბერად და ერთგულად შეუდგა ქრისტეს სარწმუნოების ადდგენის საქმეს თავის მოძმეთა შორის.

როგორც გვწერენ, მ. თეოფანეს დიდ პატივსა-სცემენ თურმე სვანები, როგორც ღრმა მორწმუნეს, კეთილი ცხოვრების მექონეს და დაუდალავს მუშაკს. მ. თეოფანეს მშვენიერად აქვს თურმე შესწავლილი ხუროს და კალატოზის ხელობა. მას დიდი ხნიდგან სდომებია სვანეთში მონასტრის დაარსება და დღეს თვითონ მიუყვია ხელი ამ კეთილი საქმისათვის. მას დაუწყია შენება ერთი დიდი ეკლესიისა, რომლისათვისაც მიუშენებია ორი სამლოცველო. ერთი უკვე დაუმზადებია და მასში ასრულებს იგი დღეს წირვა-ლოცვას. თვითონ ტაძარი ნახევრამდის უკვე მოუსრულებია. ყოველივე ამას აკეთებს მ. თეოფანე თავის ხელით და თავისი მცირე საშუალებით. იმედია, რომ ამ კეთილის მუშაკის მეცადინეობით სვანეთში დაარსდება სავანე, რომელიც დიდად დაეხმარება ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებას სვანეთში. აქაური მდიდარი ბუნება, რომელიც დღეს თითქმის სრულიად შეუმუშავებელია, დიდ ნივთიერ შემწეობას აღმოუჩენს აქაური მონასტრის ძმათა. ამ ბერისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან მომავალი მონასტრისათვის ამორჩეული ადგილის გარშემო მოფენილია თურმე მშვენიერი ტყეები, სათიბები, სამკურნალო წყლები და სახნავ-სათესი მიწები.

თავის მცირე ჯამაგირს მ. თეოფანე მისგან დაწყებული ტაძრის ასაგებად და შენობისათვის საჭირო იარაღების მოსაპოებლად ხმარობს, მაგრამ რას უნდა გახდეს იგი თავისი მცირე ჯამაგირით? მას სრულებით არ გააჩნია რიგიანი სამდვდელო შესამოსლები და ეკლესიაში სახმარებელი სხვა-და-სხვა საღმრთო ჭურჭლები.

ნუ თუ ჩვენი საზოგადოება უურადღებას არ მიაქცევს ამ ჭეშმარიტს და ჩვენს დროში იშვიათ მოღვაწეს, რომელსაც მიზნად აუდია, რომ თავის მოძმეთა შორის გაავრცელოს ქრისტეს სწავლა ⁄ აღამაღლოს ჭეშმარიტი ზნეობა.

რამდენი ძველი შესამოსლები ⁄ სხვა საჭირო ნივთები მოიშოვება ბევრს ადგილს ჩვენს მართლ-მადიდებელ მდიდარ ეკლესიებში, რომლებსაც ალარ ხმარობენ და უბრალოდ ფუჭდებიან. ყველა ეს ძველი შესამოსლები ⁄ ნივთები დიდი საჭირონი არიან სვანეთის ეკლესიებისათვის.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება შემწეობას აღმოუჩენს ამ კეთილ მოღვაწეს, რომელიც თავისი ხელით და თავისი მცირე ჯამაგირით აშენებს სვანეს თავის მოძმეთა შორის.

თუ ვისმეს სამძიმოდ დაურჩება სვანეთშ რაიმე შეწირულების გაგზავნა ამ კეთილი მოღვაწისათვის, ჩვენი რედაქცია დიდის სიამოვნებით მიიღებს ყოველგვარ შეწირულებას და გარდასცემს კუთვნილებისამებრ.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

კიდევ ოკრიოდე სიტყვა ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭედის შესახებ.

ამ საგნის შესახებ ჩვენ არა ერთ გზის გამოეცქვეთ ჩვენი აზრი და დაწვლილებითაც ავღნიშნეთ, თუ რა მდგომარეობაში იყო ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭედის საქმე ჩვენში საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე და შემდეგაც *). ჩვენ მოვიხსენეთ ის ზომები და საშუალებანი, რომელთა შემწეობით უკეთესად შეიძლებოდა ამ საჭირო საქმის ხეირიანად წარმოება; მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საქმე დღესაც იმავე მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიაც წინეთ იყო.

ამას წინეთ, როცა სტამბის საქმე ისე ხელოვნურად არ ყოფილა მოწყობილი, როგორც დღეს, ჩვენდა გასაკვირებლად, ზოგიერთი ქართული საეკლესიო წიგნები, მაგალითად: **კურთხევანი, ჯამნი, დაგეთნი** და **ლოცვანი** უფრო იაფად იყიდებოდა, ვინემ დღეს. რითი აიხსნება ეს?...

დიდი ხანია, რაც საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორამ განიძახა ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭედის საქმის გადატანა თბილისიდგან მოსკოვში, მაგრამ მოსკოვის სინოდის სტამბა ისეთ პირობას სთხოვს საქართველო-იმერეთის კანტორას, რომლის მეოხებით ხსენებული წიგნები მეტ ფასად დაჯდება. მოსკოვის სინოდის სტამბა ითხოვს, რომ ჩვენმა კანტორამ იყოლიოს მოსკოვში მუდმივი კორრესპონდენტი, რომელსაც დანიშნული უნდა ექმნეს ჯამაგირი; ჩვენი წიგნების დასაბეჭდად ითხოვს 50% ნაასლით მეტს, ვინემ სლავიანური წიგნების დასაბეჭდად. მოსკოვის სინოდის კანტორის ასეთი მოთხოვნილება დაფუძნებულია იმაზე, რომ ქართული საეკლესიო წიგნები ისე ბევრი არ იქნება დასაბეჭდი, როგორც სლავიანური და მასთან ჩვენი წიგნების აბეჭდობა ქართველთ ერთი ორად მეტი ჯამაგირი უნდა აძლიონ მოსკოვში. ამისათვის მოსკოვის სინოდის სტამბის მოთხოვნილება საბუთიანია, მაგრამ ამის გამო ჩვენი წიგნების ბეჭედის საქმე არაფერს არ მოიგებს, წინააღმდეგ საქმე უფრო ცუდათ წავა,

*) ინილე „Пастырь“ № 14, 1889 წ. №№ 14—15, 1890 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სახეში ეიქონიებთ ჩვენი წიგნების გაიაფებას და არა გაძვირებას.

ზოგიერთები იმას ამბობენ, რომ ვითომ ჩვენი ქართული საეკლესიო წიგნები იმიტომ არის საცვე შეცდომებით, რომ კერძო სტამბებში იბეჭდებიანო, მაგრამ ეს დასაჯერებელი არ არის. ამ წიგნების ბეჭვდის დროს მათ გასასწორებლად კორექტორად ინიშნება ხოლმე ყოველთვის ჩვენი სინოდის კანტორის რომელიმე წევრი და კერძო სტამბები აქ რა შუაშია?..

თუ კორექტორი კარგად არ შეასწორებს ახლად დასაბეჭდს ნამდვილთან, ისე თავისთავად არც ერთ სტამბაში არაფერი არ გასწორდება. მაშასადამე თუ ჩვენს საეკლესიო წიგნებში შეცდომებია, ამაში დამნაშავენი არიან კორექტორები და არა კერძო სტამბები. კორექტურის შეუცდომლად გასწორება შეუძლია მხოლოდ იმას, ვინაც ამის ნიჭი და გამოცდილება აქვს.

იმასაც ამბობენ, ვითომ ამ საქმის საწარმოებლად ჩვენში არ იშოვებოდეს თავისუფალი თანხა. მაგრამ სადაც კი უნდა დაბეჭდონ ჩვენი ქართული საეკლესიო წიგნები, განა ყველგან ფულს არ მოითხოვენ?

რადგან ასე გაჭირდა ეს საქმე, ჩვენ ვიფიქეს, რომ საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა თბილისშიც მონახავს კაცს, რომელიც ხელს მოჰკიდებს ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭვდის საქმეს და გასწორებასაც თვითონვე იკისრებს. ესეც რომ არ მოხდეს, საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორას თვითონვე ადვილად შეუძლია გახსნას თავის საკუთარი სტამბა და სახეიროდ აწარმოოს საეკ. წიგნების ბეჭვდის საქმე.

ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭვდის საქმე დიდად საყურადღებოა და, თუ ჩვენი ეკლესიების სიღარიბესაც მივიღებთ სახეში, უნდა ვეცადოთ, რომ ამ წიგნების ბეჭვდის საქმე ისე მოვაწყოთ, რომ ჩვენი საეკლესიო წიგნები დღევანდელ ფასობაზედ უფრო იაფად დაჯდეს. ეს ასეც მოხდება, თუ საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა "ყურადღებას მიაქცევს იმ განცხადებათა, რომელნიც შეაქვსთ კანტორაში სხვა-და-სხვა პირთ ქართული საეკლესიო წიგნების უფრო იაფად დაბეჭვდის და გაიფების შესახებ.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

ღია წერილი
ბ. ქართლოსიძეს.

წარსულს წელში «ივერია»-ში ბ. ქართლოსის ძმ გამოიცა შერა ჩვენს წინააღმდეგ ბ ისეთი ბრალი დაგვდვა ჩვენი ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭვდის საქმის თბილისიდგან მოსკოვში გადატანის შესახებ, რომელიც მოკლებული იყო ყოველივე სიმართლეს და საფუძველიანობას. ბ. ქართლოსის ძის ამისთანა უსირცხვილო ცილისწამებამ ჩვენ მოთმინებიდან გამოგვიყვანა და იძულებული შევიქენით ცხარე პასუხი მიგვეცა მისთვის. ჩვენს პასუხში გადაბეჭრით მოვსთხოვეთ მას ჩვენდამი მომართული ცილის-წამების დამტკიცება. ბ. ქართლოსის ძემ მოხერხებით ისურვა თავის გამართლება მედიატორეთა სამუალებით. მან დაასახელა ბ. ნ. ცხვედაძე და დეკ. კონჩუაშვილი. ჩვენც მოგვთხოვა, რომ ჩვენ ჩვენის მხრითაც დაგვესახელებია ორი კაცი. ჩვენ ბ. ქართლოსის ძის თხოვნა მაშინვე ავასრულეთ და მასთან გამოვცხადეთ, რომ მედიატორები მობრძანებულიყვნენ ქ. ქუთაისში და აქ გაერჩიათ სადავო საქმე. ბ. ქართლოსისძემ მოითხოვა, რომ მედიატორენი შეკრებილიყვნენ თბილისში და იგი თავის ჯიბიდგან ჭვირ-დებოდა მათ გზის და ბინის ფულს. ამ დდიდგან, ვგონებ, დიდი ხანი გავიდა, მაგრამ მედიატორებისგან არასფერი არ გაკეთებულა სადაო საქმის შესახებ.

როგორც გავიგეთ, ბ. ქართლოსის ძეს ეხლა სულ სხვა საქმისათვის მიუქცევია ყურადღება. მას სურს თურმე, რომ მედიატორებმა გაარჩიონ, თუ რამდენად ზრდილობიანი პასუხი გავეცით ჩვენ ბ. ქართლოსისძეს. ხოლო რაც შეეხება მისგან ჩვენდამი მომართულ ცილის წამებას, ამაზე იგი ხმას ადარ იღებს და არც ჩვენგან მიცემულ კითხვებზე პასუხის გაცემას ფიქრობს. ჩვენ უკანასკნელად ვსთხოვთ ბ. ქართლოსის ძეს უსათუოდ პასუხი მოგვცეს ჩვენს კითხვებზედ და თუ მან ერთი თვის განმავლობაში პასუხი არ მოგვცა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ბ. ქართლოსისძე ადგურვილი იყო ჩვენზე უზრდელი და უსირცხვო ცილის წამებით მხოლოდ პირადის ანგარიშისა გამო და მას სრულებით სახეში არ ჭქონებია ჩვენი მამულის სარგებლობა და ჩვენი ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭვდის საქმის განკარგება. ვსთხოვთ „ივერი"-ის რედაქციას გადაბეჭდოს ეს წერილი თავის გაზეთში.

დეკ. დ. ღამბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

«დანიშნულების განუმარტებლად» ფულების შეწირვის გამო.

ჩვენი გამოცემის წინა №-ში მკითხველებს სიტყვას დავპირდით ეხლანდელი დროის ერთ შესანიშნავ მოვლენაზე — «დანიშნულების განუმარტებლად» ფულების შეწირვის გაერცელების შესახებ. ვეგონებ, ყველა ამჩნევს, რომ ყველგან ხალხში სუფევს, ჯერედ კიდევ კარგად გამოუცხადველი რაღაცა ერთიერთმანეთის წაბაძვის სურვილი. კარგი დაგვმართოსთ, კარგი რამ იყოს კეთილ საქმეში წაბაძვა, მაგრამ სამწუხაროა ისაა, რომ როგორც კეთილ საქმეს, ისე სულელურ მოქმედებასაც ერთნაირად ყავს წამბაძველნი. მოვიყვანთ ამის დასამტკიცებლად რამდენიმე ფაქტს. აიღეთ გამოჩენილი მწერალი გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი. ეს კაცი ამტკიცებს, რომ ყოველი კაცი უნდა მუშაობდეს და თავისი შრომით ცხოვრობდესო (თუმცა ამას ჩვენი გლეხებიც, დიდი ხანია რაც, ქადაგებენ და ამტკიცებენ). თუმცა გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის დიდი სიმდიდრე და აუარებელი შემოსავალი აქვს, გარნა იგი იმოსება გლეხების ფერად. რასაკვირველია მისი ტანსაცმელი გლეხებისას მარტო ფერით წაგავს, თორემ ფასით და ღირსებით სულ სხვა გახლავსთ! ამისთანა მდიდარი გრაფი, ამისთანა ნასწავლი კაცი სოფელში დაიარება და ბუხრებს უშენებს ვიღაცა ღარიბ გლეხებს. ამაებით იგი უმტკიცებს ხალხს, რომ ყველამ უნდა ეიმუშაოთ და ჩვენის შრომით ეიცხოვროთო. კარგი და პატიოსანი. შეიტყვეს ეს ამბავი ყველგან. გრაფი ლ. ტოლსტოი თავისი ამისთანა ახირებული საქციელით დარწმუნებულია, რომ მას საზოგადოებაში წამბაძველნი აღმოუჩნდებიან და ამ სახით მისი თაყვანისმცემელნი გამრავლდებიან ხალხში. გრაფი ტოლსტოი არაა მოტყუებული!..

ერთ მშვენიერ დილას ქ. ოდესაში ერთ ოჯახში მივიდა მშვენიერად ჩაცმული ახალგაზდა 18—20 წლის ქალი და ოჯახის უფროსს მოახსენა:

— «მე გაზეთში წავიკითხე, რომ თქვენ დაეძებთ მზარეულს და ამიტომ მოვედი თქვენთან, თუ გსურსთ, მე დაგეკირავებით მზარეულად და, რაც გენებოსთ, ის მომეცით თვიურად ჩემი შრომისათვის».

ოჯახის უფროსმა ახედ-დახედა ამ კოპწიაღ ჩაცმულს, ზრდილობიანს და მეტის მეტად ნაზი ტანის ქალს, რაღაცა ეტყში შეიდა და ჰკითხა: ვინ ბრძანდებით თქვენ?

— მე გახლავართ ამა და ამ (დაუსახელა დიდებული და მდიდარი კაცი) კაცის შვილი, ეს არის ეხლა დავამთავრე სწავლა დედათა გიმნაზიაში და ეხლა გრაფ ტოლსტოის სწავლისამებრ მინდა ჩემის შრომით ვიცხოვრო, მიუგო ქალმა.

ოჯახის უფროსს არ მოეწონა ამ ქალის საქციელი და უარი უთხრა. დიდხანს იარა ამ ქალმა, რომ სადმე მოსამსახურის ადგილი ეშოვნა და ბოლოს ელირსა თავის წადილს. ერთი წლის შემდეგ ეს ქალი კარგად მიხვდა, რომ გრაფ ტოლსტოის კი შეუძლია ბუხრის შენება, გარნა იმას მზარეულად ყოფნა არ შეუძლია, მაგრამ გვიან შეიტყო ეს!.. მართლაც და ბევრი ამისთანა წამბაძველნი აღმოუჩნდენ ტოლსტოის...

გრაფ ტოლსტოის საქციელის წამბაძავთ თავი დავანებოთ. თქვენ დაეკირდით გაზეთებში მოხსენებულ თავის მკვლელობათა აღწერილობას. რამდენი წამბაძველნი აღმოუჩნდებიან ხოლმე ზოგიერთ თავის მკვლელებს?!.

ჩვენში, ღვთის მადლით, ამ ბოლო დროს თავი იჩინა ერთმა კეთილმა წაბაძვამ — კეთილის მიზნით ფულის შეწირულებამ. კარგად დაეკვირდით, თუ რამდენი ფულები იკრიბება ფონდების დასაფუძნებლად, ძეგლების ასაგებად, გაჭირვებულ მწერალთა დასახმარებლად, ხრონიკების დასაკვეთად და სხვათა და სხვათა და სხვათა?.. სწორეთ კარგი და პატიოსანი საქმეა. ღმერთმანინებოს, რომ ჩვენი საზოგადოება უფრო გამოფხიზლებულიყოს და სხვა-და-სხვა საკეთილო საქმეებისათვის შეწირულება უფრო გავრცელებულიყოს ჩვენში, მაგრამ ღმერთმან გვაშოროს იმისთანა წაბაძვას, როგორისთანა წამბაძველი აღმოუჩნდა გრაფ ტოლსტოის ახალგაზდა «გიმნაზისტკებში»! ღმერთმან დაგვიფაროს იმისთანა შეწირულების მიღებისაგან, «რომლის მიზანი და დანიშნულება წინდაწინვე არ შეგვეგნოს»!..

სწორედ სასიამოვნოა, რომ ჩვენში შეწირულების და ერთმანეთის დახმარების გრძნობა ერცელდება, მაგრამ სამწუხაროა, როდესაც ზოგიერთები ფულებს იგზავნებიან გაუგებლად და «დანიშნულების განუმარტებლად». ეს რომ ასეა, აჰა ამტკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცებს თ. ილია ჭავჭავაძე, რედაქტორი «იმერეთი»-სა. ბ. ილია ჭავჭავაძე აი რას სწერს «იმერეთი»-ში: «თვით შემოწირველნი გადაწყვეტილს დანიშნულებას არ აძლევენ ბაქრაძის ფონდსა... ავრეთვე დანიშნულების გამოუცხადებლად მიეღეთ 25 მან. გრ. გურიელის თანხის დასაარსებლად (იხილე «იმერეთი» № 25 1893 წ.).

ჩვენის აზრით ამ შეწირულებათა ასე გაურკვეველად და მიზნის განუმარტებლად გზავნა «იმერეთი»-ში ზოგიერთი მოთავე პირების ბრალი უნდა იყოს. ესთქვათ, ერთმა ვინმემ სადმე სადილზე, ეახლამზედ, ანუ სხვა დროს ჩამოგდო ლაპარაკი დ. ბაქრაძეზე და მსმენელთ აუწერა ამ მოღვაწის ზრომა, მისი ღვაწლი, მასთან მოგონა მსმენელთ, რომ დ. ბაქრაძის ფონდისათვის დღეს ფულებს ჰკრებენო და სთხოვა თავის ნაცნობთ, რომ იმათაც მიაძონ სხვა კეთილ კაცებს. ამნაირად აღიძრა ყველას გული და შეიკრიბა 20—25 მ. გაზეთში კითხულობთ: «ჩვენ მიეღეთ ამ და ამ ბატონისაგან შეკრებილი ამდენი და ამდენი ფული დ. ბაქრაძის ფონდისათვი'. შენწირველთა სიაც აქვე იბეჭდება».

ბევრია ისეთი შემწირველნი, რომელთაც სრულებით არ იცან, ფონდი საჭ�, თუ სასმელი?...

კარგია კეთილი საქმის მიბაძვა და წაახედურობა, მაგრამ არც უსუსური წაახედურობა ვარგა. ხშირად შეხვდებით ასეთ სურათს: პატარა ბავშვის დედა ტირის რისგანმე გამწარებული, ბავშვიც მასთან ერთად მორთვს ბღრიალს და ტირილს. არ იცის კი, თუ რასთვის ტირის. სწორეთ ასევე იქცევიან ზოგიერთი ჩვენი ქველი კაცებიც, რომელნიც ფულებს გზავნიან იმისთანა პირების შესაწყენელად, რომელნიც არაფისაგან შემწეობას არ საჭიროებენ. ჩვენი ბანკიბიდამ ამას წინეთ ერთ ორიოდე გაჭირვებულს დაუნიშნეს შემწეობა. დღეს ყველა უსაქმო დაზარმაცი ხელს იშვერს ბანკისაკენ და კიდეც კმაყოფილდება!..

აგერ წინაზედ „იმერეთ“-მ გამოაცხადა, რომ ჩვენი ნწყალი ა. ყაზბეგი დიდ სიღარიბეს ითმენს საავადმყოფოშ-ო. შეეპრალა ჩვენს საზოგადოებას თავის საყვარელი მწერალი და დაიწყო შეწირულებამ დენილი. გამოაცხადა მეორეგ, რომ საავადმყოფოში ბ. ყაზბეგს არაფერი არ აკლია და ყველაფერით კმაყოფილიაო. შეწირულება მაინც გროვდება!... *) ეხლა ეიკითხოთ, საჭიროა თუ არა ა. ყაზბეგისთვის შემწეობა? შევეტყოთ რა პირობით, ვისგან და როგორ მიიკუთნა ყაზბეგის ნაწერები წიგნების გამომცემელმა საზოგადოებამ?... ამის კითხვა შეგვეძლია ჩვენ, როგორც ყაზბეგის ერთ შორეულ მონათესავეს.

ილია ჭავჭავაძემ თავის თხზულებანი წიგნების გამომცემ საზოგადოებას სანახევროდ მისცა. დარწმუნდით, რომ ყაზბეგსაც ჰქონდა უფლება თავის ნაწერების სანახევროდ გადაცემისა. აბა შეგვატყობინოს წიგნების გამომცემელმა საზოგადოებამ, თუ რამდენი ერგო თავის თხზულებიდან ა. ყაზბეგს და ჩვენ მაშინ შეეტყობთ, საჭიროებს სხვის შემწეობას ყაზბეგი, თუ არა?

ეიღაცამ გამოაცხადა «იმერეთ»-ში, რომ ჩვენი პატივცემული პოეტის ნ. ბარათაშვილის გვამის გადმოსასვენებლად ფულები შეიკრიბოსო. ამაღე დროს განსვენებულის ერთმა მონათესავემ გამოაცხადა, რომ ჩვენ იმდენად მდიდრები ვართ, ოღონდ მთავრობამ ნება მოგვეცეს და ჩვენ თვითონ მისი მონათესავები სხვის დაუხმარებლად გადმოვასვენებთ განსვენებულის გვამსო. მაგრამ, შენც არ გაგიწყრეს ღმერთი, ეს არაფერ გაგიგონა. დღესაც გაუგებლად და «განუმარტებლად» იგზავნება შეწირულება!..

აგერ წინაზედ ერთმა ეიღაც უცნობმა, ეგონებ «იმერეთის» «ხმა» იყო, («იმერეთის» მწერლები ხომ თავის ენაზეს ვერ გამოაცხადებენ) დაბეჭდა: არიქა გეშველეთ, ფული შემოგვეწეთ. ისეთი წიგნი იბეჭდება, რომ თვალის წინ დაგიხატავსთ ქართველებისაგან ქალაქ იერუსალიმის იერეშით აღებას და მთელ ისტორიასო. თითო წიგნისათვის ბევრი მაინც და-მაინც არ ითხოვებოდა, სულ 3 მანეთი იყო.

აჰ ჩვენ ის კი არ გვაკვირვებს, რომ წიგნისათვის სამი მანეთი ითხოვებოდა, შეიძლება წიგნი მეტათაც ღირდეს და მართლადაც კმაყოფილნი დარჩენენ მყიდველები. არც ის გვაკვირვებს, რომ წიგნი ჯერეთ არ გამოსულა და მისი ქებით კი გვაყრუებენ. არა, ჩვენ ამ შემთხვევაში გვაკვირვებს ამ მაქებარი მწერლის და შეწირულებისადმი მომწოდებელის «მალულობა». ნუ თუ რიგი და წესია მქადაგებელმა თავის ენაობა დაფარაოს მსმენელთაგან? რა არის

*) ერთი გაჭირვებულთათვის გულ-შემატკივარ. ამას წინედ ყაზბეგის ცოლს შეშეობას უგზავნიდა „იმერეთ“-ში. ძლივს დავიჯერე, რომ ყაზბეგს ცოლი არა ჰყავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშიშო და სათაკილო აქ ამ ბატონი მწერლისათვის. ნუ თუ იგი ცხადად ვერ დაენახვება ხრონიკების დამკვეთლებს?..

ილია ჭავჭავაძისაგან გამოთქმულმა სიტყვებმა სხვა-და-სხვა ფონდებისა, ძეგლებისა და შესაწირავი ფულების შეკრების შესახებ ჩვენ დიდათ დაგვაფიქრა. თუ კაცი კარგად დააკვირდება ჩვენში დღეს ფულების კრებას სხვა-და-სხვა ფონდებისა და დანიშნულებისათვის, ბევრს უწესოობას შენიშნავს ამ საქმეში. ფულების შეკრების საჭიროებას ფონდებისა, ძეგლებისა, გაჭირვებულ მწერალთა და, თუ გინდათ «ხრონიკებისათვისაც» «ივერი»-ის ვიღაცა «ბრბები» და «კოჭები» კი არ უნდა უცხადებდენ საზოგადოებას, არამედ რიგიანი პირები, კომიტეტი ამ საგნისათვის საგანგებოდ ამორჩეული, რომელიც ამ შეწირულებასაც თვალყურს უნდა ადევნებდეს. არც ის არის საკმაო, რომ გაზეთში მარტო ფულების მიღება და შემწირველთა სია იბეჭდებოდეს. საჭიროა ეცხადებოდეს საზოგადოებას, თუ სად ინახება ეს ფულები, ვისთან და რა სარგებელი მოიტანა დღემდის? ერთი სიტყვით, სხვა-და-სხვა კეთილ მიზნით ფულების კრების შესახებ რიგიანი წეს-წყობილება არ სუფევს ჩვენში და რიგი და მართებულია ამ მოვლენას ყურადღება მიექცეს. საზოგადოების ფულს ბევრი მტერი ყავს. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულმა კარგად დაანახა საზოგადოებას ეს მტრები იმისთანა გამოჩენილ სახელმწიფოშიაც, როგორიც არის საფრანგეთი. ჩვენში აგრე მდიდარი არავინ არის, რომ, არის საჭირო თუ არა, ფული აძლიოს. საჭიროა ხალხს კარგად განემარტოს ფულის შეწირვის საჭიროება და დახმარების მიუცილებლობა და ამ საქმის თავიანობისათვის იყოს საზოგადოებისაგან ალრჩეულინიადგი კომიტეტი. თუ წესიერად დადგინდება საქმე, გარწმუნებთ, რომ ბევრათ უმჯობესად წავა ჩვენში სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო შეწირულების და კერძო პირთა შემწეობის საქმე. წინაალმდეგ შემთხვევაში საზოგადოება, ერთ საქმეში მოტყუებული, დაშინდება და გულს აიკრუებს საზოგადოდ შეწირულების და შემწეობის საქმეზედ.

ჰედაგოგიკის ისტორიიდგან

ბავშვთა აღზრდა საბერძნეთში.

(დასასრული *).

ა თ ი ნ ა.

სულ სხვანაირი იყო სწავლა-აღზრდის საქმე ათინაში, იმ მხარეში, სადაც ცხოვრების დროშაზედ ეწერა «თავისუფლება». იქ აღზრდას ჰქონდა მიზნად ჰარმონიული განვითარება სულისა და სხეულისა, თანხმობა შინაგანის და გარეგანის ბუნებისა, აზრისა და მოქმედებისა. ასეთი ხასიათი მისცა სწავლა-აღზრდის საქმეს შესანიშნავმა სჯულ-მდებელმა სოლონმა (639—559 წწ. ქრის—დის).

ოჯახობას ათინაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქორწინება იქ საღმრთო დაწესებულებად და კეთილად ითვლებოდა. ქორწინებას დიდის მოწიწებით ეპყრობოდა როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო პირი. ოჯახში უფროს წევრად მამა ითვლებოდა. ახლად შობილს ბავშვს მიგვრიდნენ მამას, რომელსაც უფლება ჰქონდა ან მიეღო იგი და ამით თავს ედო ზრუნვა მის ბედ-იღბალზე და ან არ მიეღო. უკანასკნელს შემთხვევაში ბავშვს გადაგდებდნენ, როგორც უპატრონო არსებას. ასეთი მწარე ხვედრი ხშირად ხვდებოდათ უკანონოდ შობილებს და აგრეთვე ქალებსა.

შვიდს წლამდის ბავშვი ათინაში იზრდებოდა ესრედ წოდებულს «ქალების განყოფილებაში» დედის და გადიას ხელქვეშ. გადიას ბავშვი სასეირნოდ დაჰყავდა, აძლევდა სასმელ-საჭმელს; აძინებდა აკვანში, არწევდა და ნანას უმღეროდა. იგი ყურს ადევნებდა აგრეთვე ბავშვის სათამაშოებით გართობას. ბავშვებს სათამაშოდ ეძლევნენ და თიხის ტიკინებს აძლევდენ. შვიდის წლის ბავშვს სწერდნენ ესრედ წოდებულს «თეთრს წიგნში», და მამაც ფიცით ამტკიცებდა, რომ ბავშვი ნამდვილი მისი კანონიერი შვილი იყო.

შვიდის წლის ბავშვი გადადიოდა «პედაგოგის»

---

*) იხ. «მწყემსი»-ს მე-22 №, 1892 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელში. „პედაგოგი“ ბავშვს გაკვეთილებს კი არ აძლევდა, არამედ განუშორებლად იყო მისს გვერდით. «პედაგოგის» თანამდებობას ხშირად აძლევდნენ მოხუცებულს მონას, რომელსაც აღარ შეეძლო სამსახური ბატონისა. ამიტომ ბავშვი მას პატივს არ სცემდა და მისგან ხშირად ცუდს მაგალითებს იღებდა.

მამა—ვალდებული იყო ეზრუნა ბავშვის სწავლა-განათლებისთვის. მამას არ შეეძლო მოხუცებულობის ჟამს რჩენა მოეთხოვა ისეთი შვილისგან, რომლის აღზრდაზედ იმას არ უზრუნია.

სკოლაში, სადაც შედიოდა 8 წლის ათინელი, ასწავლიდნენ გიმნასტიკას, მუზიკას, წერა-კითხვას და ანგარიშსა.

გიმნასტიკის სწავლებას მიზნად ჰქონდა არა თუ მხოლოდ აღზრდა მამაცი მხედრისა, არამედ სხეულის სიმშვენიერე, რასაც ძალიან აფასებდნენ ათინაში. სხეულის სიმშვენიერეს ისეთს დიდს ყურადღებას აქცევდნენ, რომ სულის ჩასაბერავ საკრავებს (духовые инструменты) მოწაფეებს მუზიკის სწავლების დროს არ ახმარებინებდნენ, რომ ამით სახე არ დამახინჯებოდათ. გიმნასტიკურს ვარჯიშობას შეადგენდნენ: სირბილი, ბურთაობა, მშვილდ-ისრის სროლა, ჭიდაობა, მაღლა ხტომა და სხ...

მუსიკის სწავლებას მიზნად ჰქონდა გაკვეთილობილებია ბავშვის გულში ზნე, გაეთვარებია მაღალი, ესტეტიური გრძნობები. შაგირდები ზეპირად სწავლობდნენ მრავალ სასიმღერო ლექსებს და ამღერებდნენ ქნარზედ და გალარაზედ.

წერა-კითხვის სწავლებასაც ჯეროვანი ადგილი ჰქონდა მიცემული ათინელთ სკოლაში. კითხვის სწავლების დროს ჯერ ასოების სახელს სწავლობდნენ, მერე მათს ფორმას, გარეგანს სახეს, შემდეგ მარცვლების ამოკითხვას, მერე მთელი სიტყვის წაკითხვას, ასე რომ ძლიერ გვიან ეჩვეოდნენ ჩქარს და შეგნებულს კითხვას. სასწავლო წიგნებად იყენენ დანიშნული ომიროსის «ილიადა», გეზიოდის «თეოგონია», სოლონის კანონები და ეზოპის არაკები.

წერას სწავლობდნენ შემდეგ კითხვის შესწავლისა. სწერდნენ გასანთლულს ფიცარზედ ერთნაირი საწერი პატარა ჯოხით, რომელსაც ერთი თავი მახვილი ჰქონდა და მეორე კი—პრტყელი. პრტყელი თავით შლიდნენ დაწერილსა.

ანგარიშს ჯერ თითებზედ ასწავლიდნენ და მერე ზეპირად.

ოჯახი ძლიერ შველიდა ათინაში სკოლას. სკოლაში იქ შედიოდა ზნეობით განვითარებული ბავშვი. იქ მშობლები, გადია და საზოგადოდ შინაურნი იმას სცდილობდნენ, რომ განვითარებიათ ბავშვის გულში კეთილშობილება, სიმშვიდე, სიწყნარე, ზრდილობიანობა, თავაზიანობა და ზომიერობა. ისინი თვალ-ყურს ადევნებდნენ ფრთხილად ბავშვის თითოეულს სიტყვას, თითოეულს მოქმედებას და სცდილობდნენ მას შეეგნო საკუთარის დაკვირვებით და გამოცდილებით, თუ რა არის სიმართლე და უსამართლოება, რა არის მოსაწონი და რა არის გასაკიცხი. ბავშვები მუდამ ტრიალებდნენ ისეთს საზოგადოებაში, სადაც მათ შეეძლოთ კეთილი მაგალითებით ამოვლებიათ თავისი საკუთარი ზნეობა. ამათ არ ჰქონდათ ნება წასულიყვნენ ისეთს ადგილს და ისეთს შეკრებილებაში, სადაც მათს ზნეობას შეეძლო გახრწნილიყო.

18 წლის ათინელი სკოლაში სწავლას ათავებდა. ამის შემდეგ ოცს წლამდის ისინი სამხედრო ხელოვნებას სწავლობდნენ. ოცის წლის შემდეგ ისინი ითვლებოდნენ სრული უფლების მქონებელ მოქალაქეებად. ამის შემდეგ მდიდარი ათინელები დროს ატარებდნენ ნადირობაში, სწავლობდნენ ფილოსოფიას, ისტორიას, ცოდნის გასამრავლებლად მიდიოდნენ სხვა-და-სხვა ქვეყნებში და სხვა... ათროგორ ფიცს იძლეოდა 20 წლის ათინელი: „მე არ გავაუპატიურებ საღმრთო იარაღსა და არ მივატოვებ ომში ამხანაგსა, ვინც გინდა იყოს იგი. მე ვიომებ თითოეულთან სიწმიდის და კანონების დასაცველად. მე მსურს ჩემს შემდეგ მამული დავსტოვო არა ცუდს, არამედ საუკეთესო მდგომარეობაში. ყოველთვის მზად ვარ ძალა-დაუტანებლად დავემორჩილო მსაჯულთა და კანონებსა და არ მივსცემ არავის ნებას შეურაცხჰყოს და აბუჩად აიგდოს ეს კანონები. მე ვალად ვსჯერ ჩემს თავს პატივი ვსცე მშობლიურს ღვთის-მაახურებას. დაე, ღმერთები იყვნენ ამის მოწამენი!“

ქალების აღზრდაზედ ისე არ ზრუნაედნენ ათინელები, როგორც ვაჟებისაზედ. ძლიერ მცირე რიცხვმა ქალთა შორის იცოდა წერა-კითხვა. ქალები იქ სცდილობდნენ უფრო თავის სილამაზზედ, ვინემ გონების განვითარებაზედ. იმათ მიზნად ჰქონდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეჩიბლათ ეაჟები თაეის სინაზით და სინარნარით. არასოდეს მზეზედ ისინი არ გამოეიდოდნენ უპირ-ბადეოდ; ხმარობდნენ ხელთათმანებს, სახეზედ ფერ-უმარილს იცხებდნენ. ტანის მოყეანილობის დასამ-შეენებლად ისინი «კორსეტებს» იკეთებდნენ და სცდილობდნენ არ გასუქებულიყენენ. ამიტომ ისინა ძლიერ ცოტას სჭამდნენ. ქალები იცეამდნენ ძეირფასს ტანისამოსს და თაეზედ გეირგეინებს იდგაედნენ.

დედები ასწაელიდნენ თაეის ქალებს ჭრა-კერ-ეას, ქო�a-ქარგეას და შინაურს მეურნეობას. ჯერ-როეანი გონებითი განეითარება ათინელთ აზრით ქალისთეის საჭირო არ იყო, ეინაიდგან ის მათის შეხედულებით დაბლა იდგა კაცზედ როგორც თაეი-სი ნიჭით, აგრეთეე დანიშნულებითა (არისტო-ტელი).

მეხუთე საუკუნეში ქრისტემდის დაეცა ათინელთ საზოგადოებრივი ცხოერება, რასაც ნათლად გეიხ-ტაეს არისტოფანი შემდეგ სიტყეებში: «სირცხეილი-ანობამ დაუთმო ურცხეობას ადგილი, ახალთაობამ **დაჭკვრა** წრფელი სიყვარული მამულისადმი და და-ანება თაეი სწაელა-განათლებასა!» ზნეობით დაცემამ დასცა ათინაში სწაელა-აღზრდის საქმეც. ათინაში ამის შემდეგ ყურადღებას აქცეედნენ მხოლოდ ცა-ლიერს და ყალბს ფრაზებს, მოხერხებულს საუბარსა და უაზრო ფილოსოფოსობას, რომლის განეითარე-ბას ხელი შეუწყეს ესრედ წოდებულმა სოფისტებმა. დაეცა ზნეობა, დაეცა გონებითი განეითარებაც; ხალხი დაიქსაქსა, და გადაშენდნენ ღირსი მამულის-შეილები. ესრედ დასუსტებული ათინა ადვილად და-იმორჩილა ალექსანდრე მაკედონელმა. მაგრამ ასეთს დაცემის დროს ათინას დაებადა და აღეზარდა რამ-დენიმე ისეთი შეილი, რომელთ სახელითა ამაყობს არა თუ მარტო საბერძნეთის ერი, არამედ მთელი ხალხოსნობა. ჩეენ აქ ეამბობთ **სოკრატზედ, პლა-ტონზედ** და **არისტოტელზედ**, რომელთ ფილოსო-ფიურს მოძღერებას ჯერაც ეერ გაშორებია აწინდე-ლი კაცობრიობის გონება. ამ სამი ფილოსოფოსის პედაგოგიური მოსაზრებანი ძეირფასს საუნჯეს შე-ადგენენ **პედაგოგიკის ისტორიისთეის.**

იდ. ფერაძე.

გონებით წარმატებაში აქვს თუ არა მნიშვნელობა ჩამომავლობას?

გონებით წარმატებაში ჩამომაელობას, ანუ გეარტომობას არაეითარი საპატიო მნიშვნელობა არა აქეს; როგორც ცნობილ გეარიშეილს შეუძლია მიიღოს განათლება, შეიქმნეს დიდი ნიჭიერი და გენიოსი, ისე უბრალო გლეხის, ანუ მეწერიმლის შეილსაც შეუძლია ყველა ესეები შეიძინოს. ამ აზრის დასამტკი-ცებლათ მსოფლიო განათლების ისტორიას მიემარ-თოთ. კოლუმბი იყო უბრალო ფეიქრის შეილი; **კოპერნიკი** უბრალო მოქალაქის (**бюргеръ**) შეილი; **კეპლერი** საწყალი მესასტუმრეს შეილი; ნიუტონის წინაპრებს არაეითარი გონებითი ნიჭით არ გამოუ-ჩენიათ თაეი. სახელოეანი შექსპირი მეხელთათმანეს შეილი იყო; ფილოსოფოსი სპინოზა უბრალო **ურიის** შეილი იყო; განთქმული ფილოსოფოსი კანტი მეუ-ნაგრის შეილი იყო; პრისტლეი მოეაჭრის შეილი იყო; ერშტედი მეაფთიაქის შეილი იყო; ლინნე პასტორის შეილი იყო; კიუეიე უბრალო აფიცრის შეილი; ვოლ-ტერი ნოტარიუსის შეილი; — **ჟან ჟაკ რუსო** საწყალი **მესაათის** შეილი; ლესსინგი პასტორის შეილი იყო; გერდერი პირველ დაწყებითი სკოლის მასწაე-ლებლის შეილი იყო. შილლერი სკოლის მასწაე-ლებლის შეილი, დედა მისი კი მებულკის ქალი იყო; ბერანჟე საწყალი თერძის შეილი იყო; გეინე და ბერნე **უბრალო ურიის** შეილები იყენენ; **პაპი** **გრიგოლ VII**, გილდენბრანდათ წოდებული, მჭედ-ლის შეილი იყო; იოანნე გუსი საწყალი ჩეხიელი გლეხის შეილი იყო; ამოს კომენსკი ჩეხიელი მეწერ-ქეილის შეილი იყო; მარტინ ლიუტერი უბრალო ლეთონის მომუშაეის შეილი იყო; იორდანე ბრუნო უბრალო სალდათის შეილი იყო; ბენიამინ ფრანე-ლინი საწყალი მესაპნის **შეილი** იყო; სტეფენსონი მენახშირის შეილი იყო; ფულტონი უბრალო კაცის შეილი იყო; არკრთი პირეელათ გასაწყლებული **დალაქი** იყო; ჟაქკარი ქარხნებში მომუშაეის შეილი იყო; მურილიო საწყალი მომუშაეის **შეილი** იყო; დომინიკინო ღატაკი ბოლონელი მეწულის შეილი იყო; ჟურარ დოეი ღატაკი მემინის შეილი იყო; **სალეათორი** როზა ღატაკი ნეაპოლიტანელი **მიწის** მზომელის შეილი იყო; რუბენსი **უბრალო** ხე-ლოსნის შეილი იყო (ბატონყმობის **დროის**)

ალბრეხტ დიურერი ვერცხლის მადანზე მომუშავის შვილი იყო; განიბალ კარაჩი თერძის შვილი იყო; ლომონოსოვი მეთევზის შვილი იყო; დერჟავინი საწყალი აფიცრის შვილი; ბელინსკი ჩემბარის მაზრის ექიმის შვილი ვოლოცოვი ვორონეჟელი მოქალაქის შვილი; სპერანსკი დიაჩოქის შვილი იყო...

ამიტომ ორი – სამი ნიჭიერი კაცის აღება მთელი ისტორიული მაგალითებიდამ და იმაზე შთამოებითი თეორიის დაფუძნება, არც მეცნიერული გახლავსთ და არც ჭკვიანი კაცის საკადრისია. ეს ცოტა არის. მოვიყვანოთ კიდევ რამოდენიმე ფაქტი იმის დასამტკიცებლად რომ კაცობრიობას, რა გინდ რომ გარემოება ხელს უწყობდეს, მაინც არ შეუძლია განსაკუთრებული ჯიშისა და გვარის დაწესება.

წინაადმდეგ ნიჭის მემკვიდრეობითი გადასვლის დასამტკიცებლად მოვიყვან ზოგიერთ სხვა განმარტებასაც, რომლებიც ნამდვილათ ეთანხმებიან ისტორიულ ფაქტებს. გულდასმით და ბეჯითად რომ გამოვიძიოთ ჩამომაველობა ყველა შესანიშნავი კაცებისა, რომლებსაც მსოფლიო ისტორიაში საპატიო ალაგი უჭირავთ, აღმოჩნდება შემდეგი:

1) არც ერთს მსოფლიო გენიოსს მამა გენიოსი არა ჰყოლია.

2) არც ერთს მსოფლიო გენიოსს თავისივე მსგავსი გენიოსი, ანუ ნიჭიერი შვილი არა ჰყოლია.

3) უმეტესობა შესანიშნავი კაცებისა იბადება უბრალო ხალხიდამ.

4) ბუნებას ძლიერა სძულს ჩამომაველობითი «პრივილეგიები», რომლებითაც კაცს ძრიელ უყვარს შეჭურვა.

და დასასრულ 5) ტალანტი, ანუ გენი, რომლებიც შესამჩნევ კვალსა სტოვებენ კაცობრიობის განათლებას ისტორიაში, არიან შედეგნი სხვა და სხვა საზოგადოებური პირობებისა, რომლებიც შორს იტოვებენ ფიზიოლოგიურს წრეს და გვასაქმებენ თავიანთ ნებაზე პირველზე დამოუკიდებლათ. ეს სია შესანიშნავ და განთქმულ კაცებისა გვიმტკიცებს, რომ სიღარიბე ხელს უწყობს გენიოსების, ტალანტიანებისა და ნიჭიერი კაცების აღმოჩენას. ეს საკვირველიც არ არის: ბრძოლა უქონელობასთან და სასტიკ საჭიროებასთან ცხოვრებაში ბევრს გამოსადეგ ცოდნას გვაძლევს; უზრუნველობა და სიმდიდრე კი ასათუოებს და ასუსტებს ზნეობითი ენერგიას *). ამიტომაც სიღარიბემ არასოდეს არ უნდა შეაშინოს ისინი, რომლებსაც თავის-თავის იმედი აქვთ.

მ. ვ. ფოფხაძე.

მცირე შენიშვნა მეგრული ლიტერატურის შემქმნელებს.

ერთი მეგრელისაგან ჩვენ მივიღეთ ქართულად დაწერილი სიტყვები და გვთხოვს მათ გადათარგმნას მეგრულად. აი ეს სიტყვები:

«უფალი, ღმერთი, ანგელოზი, ხატი, ჯვარი, წირვა, შესაწირი, დიდი, პირი, თვალი, თმა, ყური, კბილი, ენა, კისერი, თითი, ცხვირი, გული, ხელი, მკლავი, ქუდი, ბაშლაყი, კაბა, წყლა, ჩექმა, წყალი, ღვინო, მჭადი, კაცი, ცხენი, კამეჩი, ჩიტი, ქორი, წყერი, მიმინო, მჭედელი, ხურო, ოსტატი, წისქვილი, ვენახი, ყურძენი, კალათი, გოდორი, ბაწარი, მოდი, გაიცინე, მასპინძელი, სტუმარი, ისლი, ყავარი, კედელი, სვეტი, სარტყელი, ქამარი, ღვედი, ლეიბი, ბალიში, ლოგინი, ქათამი, მამალი, ქალალდი».

ამასთან გვთხოვენ, რომ ყველა საეკლესიო ნივთების სახელები მეგრულად გადაგვითარგმნეთო.

მთელს სამეგრელოში ჩვენ ვერ ვნახეთ ვერც ერთი კაცი, რომ ეს სიტყვები გადაეთარგმნა ჩვენთვის მეგრულად. ბ. გოზოდოვი თითქმის მეგრული ლიტერატურის შექმნით გაბედნიერდა და მას ეთხოვეთ, მისი ლექსიკონის საშუალებით, გადაგვითარგმნოს ეს ჩამოთვლილი სიტყვები მეგრულად. თუარიკის, მაშ რაღას ატყუებდა თავის მთავრობას, რომ მეგრული ენა ვიცი. იმედია, რომ ეხლა ბაქოში ბ ა ქ უ რ ლიტერატურას შექმნის და თავის სახელს საუკუნო მოსახსენებლად დასტოვებს ბ ა ქ უ რ ე ლ ე ბ ში.

*) ეს თვალსაჩინოდ არის შენიშნული ჩვენი მოსწავლეების ეხლანდელი დროის აღზრდაში. რამდენად მათი აღზრდა ფუფუნებით მიდის, იმდენად ეს მდიდრულად აღზრდილნი უსარგებლონი გამოდიან საზოგადოებისთვის. ამის მაგალითები მრავალია დღეს ჩვენს ცხოვრებაში.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეკროლოგი.

მოძღვართ-მოძღვარი მღვდელი სოფრონ თვალთვალაძე.

1892 წელს, დეკემბრის 6 გარდაიცვალა წალენჯიხის საბლაღოჩინო ოლქის ეკკლესიების ყველა კრებულთაგან საყვარელი და პატივცემული მოძღვართ-მოძღვარი მღვდელი სოფრომ თვალთვალაძე. ჩვიდმეტ წელზე მეტია, რაც განსვენებული დანიშნული იყო მოძღვართ-მოძღვრად ზემოხსენებულს საბლაღოჩინო ოლქში.

განსვენებული ჭეშმარიტად აღსრულებდა თავის თანამდებობას; იგი სწორედ მაგალითი იყო მისდამი რწმუნებული მრევლისთვის და თავის სულიერ მოწაფეთათვის თავის წმინდა ცხოვრებით და გასაოცარი უანგარობით.

სანამდის კაცი ცოცხალია, რაც უნდა იგი სასარგებლო იყოს მისი მოღვაწეობა, არავინ არ აფასებს მას და არც ხეცდრს პატივისცემას ღებს საზოგადოებისაგან. როცა კი მოგვაკლდება ესეთი სასარგებლო პირი, მაშინ კი დავრწმუნდებით, რომ ჩვენთვის იგი სასარგებლო იყო და მისი დაკარგვა ჩვენთვის დიდი სამწუხაროა.

განსვენებული მწყემსი სოფრომ თვალთვალაძე უხვად იყო დაჯილდოებული უზენაესისაგან სხვადა-სხვა ნიჭითა. მთელი მისი სიცოცხლე შემკული და დიდებული და კეთილი საქმეებითა. განსვენებული იყო მშვიდი და მოწყალელარიბთა და გაჭირვებულთათვის, იგი ყოველთვის კმაყოფილი იყო თავის ხვედრით.

ყველა მისი სულიერნი შვილნი სიმწუხარით ვლოვენ ყველასაგან საყვარელი და პატივცემული მოძღვრის დაკარგვას და სასოებენ, რომ განსვენებულის თანამდებობის ადგილზე დანიშნული მოძღვართ-მოძღვარი გაიღლის იმ გზაზე, რომელზედაც მტკიცედ ელიდა განსვენებული.

მღვ. პეტრე კვარაცხელია.

ფუფუნება.

(გაგრძელება *)

ზოგს დიდშვენიერი სასახლეები, ზოგს თავშესაფარიც არა. ეგერ გალამაზებული და მხიარული ბიწიერება, აგერ ტლანქი და მქისი ბიწიერება და დანაშაური, რომელიც შურის ძიებას არის მოწადინებული და გაფაციცებულია, ასწავნოს მისი თვალის მომჭრელი სიმდიდრე. ყველგან საცოური; ათასი მაღაზია, სავსე ყოველ იმით, რაზედაც ხელი ვერ მიუწვდება ღარიბს; იქ მას თვალთ სამსჭვალივით ეძგერება ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ნივთები, სამკაულები. ამით ჩნდება სიძულილი და გულში ჩამარხული შურის ძიება, ნაღველ-ბოღმად შემოგროვილი ლატაკის გულში. ეს აჩენს ქამითი ქამად ევროპიის ქვეყნებში აჯანყებას... ჩვენ ში კიდევ ჯიბგირობას, ავაზაკთა დუნგდობას და მისთანებს... ამით უქონელი თხოულობს თავისს დარგს სიმდიდრისგან.

მიუხედავად ამისა არიან ისეთი სწაელულები, რომელნიც თითონ არ მისდევენ ფუფუნებას, მაგრამ ამბობენ: «ზნე დაცული ფუფუნება საჭიროაა, როგორც წამქეზველი შრომისადმი, და ძებნა მხოლოდ მიუცილებელ მოთხოვნილებისა ამისთვის საკმაო არ იქმნებოდაო». ამ აზრის შეწყნარება ყოველად მოუხერხებელია: ფუფუნებასთან ზნედაცულობა და ზომიერება ისე მოსათავსებელია, როგორც ცეცხლთან თიეა; ფუფუნება ჭნთქავს ყოველ სათნოებას.

ნადარ-ხალხთა გამოსაყვანად პირუტყულ მდგომარეობისა და ორძილობის ინერციითგან ეგებ მართლა სასარგებლო იყოს, გაუჩინო მათ ახალ-ახალი მოთხოვნილება, რათა მათაც ხელი მიჰყონ გარჯასა და განვითარდენ მათდა სასიკეთოთ და სასიამოვნოდ. ჩვენ კი რაღათ ვეჭირვება სურვილის აღძვრა მოხმარებისადმი? «შეხედეთო, ამბობენ ჩვენი მოპირისპირენი, ემაგ ტალახში გასვრილ ხალხს, ემაგ გატლანქებულ ორფეხთ,—განა მაგათ ჩვენისთანა სიხსლი უდისთ ძარღვებში? განა მაგათ ჩვენისთანა ყადრი აქესთ შვენიერებისა? მაგათი სიამოვნება ტალახსა და წყვდიადში გდეაა და რომ ამოსწიო, არც ამოგყვებიან იქითგან».

საფუძვლიანია კი ასეთი «დიდკაცური» შეხედულობა დაბალ ხალხზე? ისინი ხომ მუშაობენ, ხომ

*) იხ. «მწყემსი» № 2, 1892 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე მუდამ ჭაპანწყვეტაში არიან თავისის არსებობის დასაცველად და ჩვენდა გამოსაკვებათ. განა შეიძლება მათი განკიცხვა მხოლოდ იმიტომ, რომ შესაფერ დღიურ ქირას ვერ იღებენ? განა თქვენ, მოფუფუნენი რომ არ ართმევდეთ, ზოგჯერ ნახევარზე მეტს მისს ნაჯაფარს, განა ისინი ვერ დაალწევენ ნელნელა თავს იმ საძაგლობას და იმ დამცირებას? განა მათი შრომა ღირსეულად ჯილდოვდება დღეს? განა შეიძლება, კაცი ჯურღმულში ჩაგეგდოს და გაიძახდე: ოხერა და ვერ ამოდისო! განა ამ გამრჯელის ხალხის ნაჭირნახულევი ჩალის ფასად არ უვარდება ხელში უდიერ მექარხნეებს, გაქნილ და მაწანწალა ჩარჩებს? განა, თქვენ, ფუფუნების მომხრენო, მცოდნენო და შეძლებულნო, ვალდებულნი არა ხართ გაფაქიზოთ იმ თქვენთ „მცირე მოძმეთა“ ხასიათი, სასწაველებლები გაუჩინოთ სხვადასხვა გვარი, გაუხსნათ განვითარების წადილი? განა იმ მუშა ხალხს კი არ აქვს სურვილი, იქონიოს სუფთა ბინა, კარგი ავეჯეულობა, ტანთ-საცმელი და სასმელ-საჭმელი გიგენისგან დავალებულნი? ნუ თუ ეს, მიუცილებელ საჭიროების დაკმაყოფილების, სურვილი კი არ კმარა, რომ ისინი წაიქეზოს შრომაზე! სხვა მიზეზი რა საჭიროა იმისთვის, ვინც თავის ხელით მუშაობს; გადაჭარბებულს მისდევენ მხოლოდ უქმად მოსიარულენი, მუქთახორები და მოფუფუნენი.

მეორე საბუთად ფუფუნების მომხრეებს აი, რა მოყავთ: «ახლა რომ ყველამ საფუფუნო საგნების კეთებაზე ხელი აიღონ, რაღა ეშველებათო ათასს ხელოვანს, ასი ათასს გამრჯელს, რომელნიც ანახელავებენ საუცხოო გემოვნებით ლითონებს, ქაღალდებს, სპილოს ძვლებს, ხის მასალას, ძვირფას ქვებს, რომელთაგან გამოდის მილიონების და მილიარდების საღირალი სასალუქო ნაკეთობანი. ხომ ყველანი ულუკმა-პურად დარჩებინო. არც ერთი სახელმწიფო არ არისო, რომ მომეტებულს აწარმოებდესო ცხოვრებისთვის სასარგებლოსა და საამურ ნივთებს, იმიტომ რომ თვითეულ სახელმწიფოში აუარება ღარიბია. რა ნაწარმოებია მოჭარბებული, ბა, მიგვითითეთო, ნუ თუ მატყლი და ბამბა, როცა იმოდენი ადამიანი სიცივით იტანჯებაო. ნუ თუ პური, როცა ბევრისგან ბევრს ხმელა პური ენატრებაო?»

ჩვენც ვაძს ეჩვეთ. იმ გამრჯელებს, სპილოს ძვლებს და ძვირფას ქვებს რომ აწახნაგებენ, შეეძლოთ მოეყვანათ საჭირო რაოდენობა პურისა და მატყლისა და ჭირ-ბოროტი მოისპობოდა. შრომა იგივე იქმნებოდა, მაგრამ მთლად სასარგებლო კი.

«მაგრამაო, გვეკამათებიან კიდევ ფუფუნების მომხრენი, ვის შეუძლია, აღნიშნოს სინამდვილით უსარგებლო, რაც თქვენ გინდათ განდევნოთო და გამოარჩიოს სასარგებლო, რაც თქვენ გინდათ, გამრავლდესო?»

ვითომ ესეც საბუთია. რა თქმა უნდა, ცნება ფუფუნებისა შედარებითია და დამოკიდებულია წარმოების ღონისძიებაზე. რაც დღეს სინამეტნაევდ ითვლება, ხვალ იგი ამას აღარ შეადგენს, თუ კი მექანიკას წარმატება მას გახდის ყველასთვის ხელთმისაწვდომად. ეგეც რომ იყოს, სასარგებლოსი და უსარგებლოს გარჩევა ყველასთვის ადვილია. ღირა თუ არა ნივთი იმ შრომად და იმ დროდ, რაც მას უნდა მოანდომო, თუ ჩემის ხელით ვიკეთებ (ან სხვისის ხელით, მონაცვლებით ჩემ ნაწარმოებზე—ეგ სულ ერთია). თუ ასეა, ეგ ფუფუნებად აღარ ჩითვლება და სრული ნება მაქვს, მოვიპოვო იგი. მაგრამ თუ იმ ნივთის იოსაპოვლათ მე მოვაცდინე კაცური ძალა ნამდვილის დანიშნულობისაგან, საცა იგი უფრო სასარგებლო იქმნებოდა, მაშინ მე მართალი აღარა ვარ. მე შევსწირე ამით მიუცილებელი საჭიროება გადმეტებულა, სანებივრო საგანს. მე ცუდად მოვიხმარე ჩემი, ამ ჩემთ მოყვასთ ძალ-ღონე.

პოლიტიკ ეკონომები წერენ თხზულებათა ამგვარ ტემებზე: «მოთხოვნილებათა სიმცირე, როგორც ნიშანი ხაზოგადო განუვითარებლობისა», «ნივთიერი მოთხოვნილება შესაბამ ზნეობითთა მოთხოვნილებათა» და მისთანები. ამისთანა შეხედულება მართალია მოქალაქობის, განათლების დასაწყისში და დასაჯერებელი აღარაა შემდეგს განვითარებაში, კულტურის ზედა და ზედა ხარისხებზე. საჭიროებით წაქიმუნჯებული ადამიანი პირველყოფილ დროჟამში შრომობს ტლანქის იარაღებით: გამოუქაფტებელ კაჟით, ქვის ნაჯახით, ჯგუთით, თევზის ძვლით. შემდეგ ხანებში კი თანდათან ეჩვევა ხმარებას ლითონის იარაღებისას. მალე მოყავს წყობილებაში თავისი დაკვირვებანი ბუნების ძალებზე. იწყება ტეხნიკა, მეცნიერება. დგინდება საზოგადოებრივი მორიგება, განწყობილება და ზნენი თანდათან რბილდება, ლმობიერდება. მიწათმოქმედება თხოულობს წესს და რიგს, მშვიდობიან ცხოვრებას სარგოთ საზოგადოებისა. ადამიანი თანდათან ეივნყება ხორცქმამლობას, მეტადრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმის ხორცისას, რასაც მანამდე მთელს თავისს დროს ანდომებდა საკმილოს მოსანადირებლათ, მისს ჩასანთქმელად და მოსანელებლათ. მოცალება, რაიცა არის შედეგი შრომის მოძეტებულ მწარმოებლობისა, ხელს უწყობს ადამიანს გონებითის და ზნეობითის განვითარებისათვის. «ადამიანი რომ ცვლის საგნებს, ამითი თავისი თავი შეყავს აღზრდაში; იგი საგნებს აძლევს სხვა სახეს იმ დენთ, რამდენათაც მას თავისი თავი გადაუქმნია, შეუმუშავებია თავისუფალ და გონიერულ საშუალებათა მოხმარებით. შრომამ შექმნა ახალი ქვეყნიერობა. ან, უკეთ ვთქოთ, მან შექმნა ადამიანი. შრომა არის თავის თავის პატრონობა, შრომა ნიშნავს წინასწარ ხედვას. შრომა ის არის, თუ იცი საშუალების და მიზნის ერთმანერთთან დამოკიდებულება. მეტიც უნდა ვთქოთ: შრომა ნიშნავს აღარულებას მოვალეობისას სხვა კაცთადმი, რომელთაგან მოითხოვების ნაცვალგება შრომითვე. ასე იწყება ქვეშმარიტი საზოგადოების ცხოვრება. ამისთანა ცხოვრება ვრცელდება თანდათან დედამიწის პირზე აზრების აღებ-მიცემობით, სამსახურის და ყოველგვარის ნაწარმოების მონაცვლეობით».

ეს ხოტბა შრომისადმი, თქმული ერთის პოლიტიკ-ეკონომისგან, მოსაწონია მანამდე, სანამ იგი ეკუთნის შრომას მიუცილებელ, ნამდვილ საჭიროებათა მაწარმოებელს. შრომა თუ უსარგებლოს რისმე საწარმოებლათ იხარჯება, მაშინ იგი არის მიუტეველი დაკარგვა დროსი. რაიცა არის ცხოვრების მასალა და მოცემული გვაქვს მაღალ მიზანთადმი მისაღწეველათ. ამისთანა შრომა შეადგენს მსარაობას იმ დროისას, რაც უნდა მოხმარებულიყო გონების აღსაზრდელათ და გულითადის ურთიერთობისათვის ოჯახსა და კაცობრიობათან.

მოთხოვნილებათ გაბევრება სრულიადაც არ არის ცივილიზაციის წინარის ნიშანი, იმიტომ რომ მოთხოვნილება მრავლდება და პეწეწიკდება საზოგადო გარყვნილობისა და ვათახსირების დროს. რომის იმპერია არის ამის ბრწყინვალე მაგალითი. სწორეთ ამისთანა დროში სული ელეფათ შეუძლებელის ძებნაში და ფუფუნება ხედავს გარყვნილებაში უზენაესს სიამოვნეს. ფილოსოფოსი სენეკა ამბობს გარყვნილ კალიგულაზე: «არაფერი ისე ძლიერ არ მოუნდებოდა, როგორც ის, რაც შეუძლებლად მიჩნდა. ამითი სიამოვნება გარყვნილთათვის არის მიზანი ფუფუნების». ამისთანა კაცებს აამებს ხოლოდ დანამაური; მათ სურთ ბუნებას ძალას ატანდენ. რომელცალა იმპერატორმა შეაერთებია ბაიო პუცელოსთან ზღვაზე გადებულ ხიდით მხოლოდ იმის გულისთვის, რომ ზედ გაეელო თავისს სატრიუმფო ეტლით. მეორე იმპერატორი მთელს მთებს ათხრევინებს ხალხს და იქვე დააზვინებინებს მაზას. მაახიობი ეზობი უკეთებს სტუმრებს სანუკბარს მოლაპარაკე თუთიყუშების ენებისას, რაიც უჯდებათ ხუთი ათასს მანათად. დედოფალი გორტენზია თავისს ბაღჩას ღვინოებით არწყვევინებს. რამდენი ათასი ამისთანა უნიაკობა უნდა ჩამოთვალო: ეს სნეული წყურული განცხრომათა საკმაოთ ცნობილია. ნუ თუ აქ მოთხოვნილებათთ განვითარებას რამე კავშირი აქვს ზნეობითს განვითარებასთან?

ეკონომისტების და მათის ამყოლ საზოგადოების თვალში ესა თუ ის ქვეყანა მით უფრო განვითარების მაღალ ხარისხზე დგას, რაც უფრო დიდი მაწარმოებელი ძალა აქვს. ქვეყანა განვითარებულად ირიცხება მაშინ, თუ ფული მილიარდობით ითელება, როცა ანგარიში გამოყავთ, გამომუშავებულ შემოტანილ და გატანილ საქონელთა. ამისთანა ქვეყნებში მდიდრები ხარკსა კრეფენ მთელის ქვეყნიერობისაგან, რათა მით შეიმკონ თავიანთი სასახლეები, მორთონ და მოაზიზილ-ბიბილონ თავიანთი სტოლები. ქალაქებში კაშკაშა სინათლეზე ფანჯრების შუშაყალფაკებში ელვარებენ დანატიფებული ძვირფასეულები, დასაქსაქებულ-დაძინანქრებული ოქრო-ვერცხლები და ფერად-ფერადი სტაკანა-ფარჩები. ის კი არა თუ იქვე მილიონი ღატაკ-გლახაკები აშკარა ნაგლახაკარით წუთი-ოფელს ეღწევიან, ორწილზე ძეტი ჰკედრნი უწერა-კითხვათ რჩებიან; საჭიროდ ხდება საპყრობილების გაფართოვება და გაბევრება და შიშიანობის გამოცხადება. მაგრამ ამას ყურადღებას ვინ აქცევს: ამისთანა ქვეყნები დიდის ყოყოჩობით განათლებულ, საქრისტიანო ქვეყნებად ითვლება. მეორე ადგილას ვხედავთ, რომ პატიოსანი სოფელელები, ძესაკეთრენი თავიანთ სახლ-კარ-მინდვრებისა, ყოლაფერ თავისს მუცილებელ საჭიროებას მიუძღვიან თვისის გარჯით. ყველას გვარიანი კარგი განათლება და კეთილმდგომარეობა აქვსთ. მაგრამ იქ ფუფუნებისა ნაკვალევიც არ არსებობს. ამისთანა ქვეყანაა ჩამორჩენილ, დაქვეითებულს ეძახიან. აი, ჩვეულებრივი მაჯელობა ახალის დროისა. ეს შეხედულება არის ზეწრული, არად სარწმუნო და საზოგადოების დამლუბველი თვალის შედეგებით.

წერილები რედაქციის მიმართ.

I

კიევის სასულიერო აკადემიის ქართველი სტუდენტები უგულითადეს მადლობას ეუძღვნით რედაქციებს: «მწყემსი»-სას და «Пастырь»-სას, «ІеерІІІ»-სას და «Новое Обозрѣніе»-სას თავიანთ გამოცემათა წარსულ და ამა მდგომარე წელში ჩვენთვის უსასყიდლოდ გზავნისათვის.

მელიტონ ჩოგოვაძე.

II

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გეიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის შემწეობით მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც შესწირეს ჩემდამო რწმუნებულს კლდეეთის წმ. გიორგის ეკკლესიას სხვა და სხვა საეკკლესიო ნივთები. და სახელდობ: მქერიემა ამირან მახარობლის ძის კეიტაშვილის ასულმა ეკატერინა გუმბერიძისამ თავის ქმრის ამირანის მოსახსენებლად შემოსწირა ერთი გარდამოხსნა თავის კუბოთი, ღირებული 70 მან.; მღვდლის შვილმა კირილე თომას ძე თუთბერიძემ ერთი მაცხოვრის ხატი და ერთი ღვთის მშობლისა, ღირებული 6 მან.; გლეხმა სიმონ იესეს ძე ახრახაძემ—ერთი ჯვარი, ღირებული 4 მ. და სპირიდონ დუგლაძის მეუღლამ ირინე კაციას ასულმა შემოსწირა ერთი პატარა კანკელი, ღირებული 3 მან.

ზემოხსენებულ პირთ გულითად მადლობას ეუძღვნი როგორც მე, ისე მთელი ჩემი მრევლი; განსაკუთრებით ჩემგან მოხსენება ექნება კვეთაზე გარდაც. ამირან კეიტაშვილს და მის მეუღლას. იმედი მაქვს, რომ ამ ღვთის მოყვარე პირთ კიდევ აღმოუჩნდება მიმბაძველი.

მღვ. იუვლიანე ყიფშიძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ყველამ იცის, რომ 1890 წლიდგან, უმაღლესი ნება-დართვით, საქართველოს საექსარხოსოში ხაზინიდგან დაინიშნა 9900 მანეთი დასაარსებლად და შესანახავად თითოეულ გუბერნიაში თითო ორკლასიანის და ორი ერთ-კლასიანის სამრევლო სკოლებისა. ამ ფულის მიცემა ხაზინიდამ ყოველთვის სამ-სამი წლით გამოითხოვება,—მაგრამ რადგან ხშირად ხარჯთა-აღრიცხვის დამტკიცებას აგვიანდება, ამისათვის მთავარ-მართებელმა უბრძანა გუბერნატორებს, რომ აღნიშნულ სასწავლებლებს ხაზინიდგან მიეცეს, რასაც დღემდის იღებდენ, ჩვეულებრივად და შეუწყვეტლივ.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ მის მაღალ ყოველად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს ელადიმერს განწირახვა აქვს მომავალ ზაფხულში ეპარქიალური სამღვდელოების კრება მოახდინოს, რომელზედაც უნდა მოიფიქრონ ზომები ზნეობისა და სარწმურნების განმტკიცების შესახებ ხალხში.

***

თფილისის მართლ-მადიდებელი სემინარიის მესამე კლასის მოწაფის რაჟდენ კანდელაკისგან ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდად შემდეგი წერილი:

«მ. რ. მე ვარ შვილი მეტად ღარიბი და უადგილოდ მყოფი დავრდომილი მედავითნისა. კულაშის საბლაღოჩინო ოლქის ბლაღოჩინმა მ. ერმალოზ კანდელაკმა თავისი მამაშვილური ყურადღება მიაქცია მამი ჩემის სიღარიბეს, რომელსაც სურვილი კი აქვს ჩემი გამოზრდისა, მაგრამ სიღარიბე ნებას არ აძლევს, ყოველთვიურად საჭირო ფული გამომიგზავნოს. მ. ბლაღოჩინს თავის საბლაღოჩინოში მოუკრებია 19 მან. და 35 კ. ჩემთვის და კიდეც გამომიგზავნა. ამ შეწეობისათვის გულითად მადლობას ეუძღვნი რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ბლაღოჩინს მ. ერმალოზ კანდელაკს, ისე ყველა შემწირველთ, რომელთა სიას აქვე გიგზავნით დასაბეჭდად. აი სია:

ბლაღოჩინმა ერმალოზ კანდელაკმა 3 მანეთი, მასწავლებელმა კ. მკურნალმა 1 მ., მღვდლებმა: მ. კანდელაკმა, მიხაილ კანდელაკმა, ლ. კანდელაკმა, პ. კანდელაკმა, ზ. შანიძემ. სერგეი კალაძემ, თ. ჯიბლაძემ თითო მანეთი, ნ. ჯიბლაძემ, ნიკურაძემ, ს. მიქაძემ, ო. სანიკიძემ, ი. ახვლედიანმა, გ. შენგელიამ, ს. მიქაძემ, დიაკონმა ე. მიქელაძემ, მედავითნეებმა: ს. კანდელაკმა, გ. კანდელაკმა, პ. კახიანმა, ზ. აბულაძემ ათ-ათი შაური, გელეიშვილმა 40 კ., მ. შენგელიამ 30 კ., ბ. კალაძემ 30 კ., ა. ყუფარაძემ 20 კ., ი. არველაძემ 20 კ., პ. ჯიბლაძემ 20 კ.

***

ოზურგეთის მაზრის, სოფ. ქვემოხეჩის მაცხოვრის ეკლესიის მღვდლის ფილიმონ ბროკიშვილისაგან ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდად შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა შევსწირო ჩემდამო რწმუნებული ქვემოხეჩის მაცხოვრის ეკლესიის მრევლთაგანს აზნაურს კოტატი მალაქიას ძეს დუდუჩავას, რომელმაც 1892 წელს ზემო აღნიშნულს ეკლესიას შემოსწირა ორი ბაირახი, ღირებული 60 მ. და ერთი შანდალი, ღირებული 5 მ.

***

ნორის მიხაილ—მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდლის იოანნე ანდრიევისაგან ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი:

«მ. რ. გთხოვთ ნება მოგვცეთ, რომ თქვენი გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოუცხადო როგორც მე ისე ჩემმა მრევლმა აზნაურთ ზაქარია, ანტონ და ნიკოლოზ არჯევანიძეთა, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულ მიხაილ მთავარ-ანგელოზის ეკლესიას გარდამოხსნა, ღირებული 450 მ., შესანიშნავი მხატვრობა გარდამოხსნისა არის შემკული ოქრომკედით, სიტყვები: «მშვენიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა» და სხვა დაწერილია ქართულათ ოქროს ფარაყიანი სხვილი მხედრული ასოებით. ამათვე შემოსწირეს ამავე ეკლესიას დიდი სტოლი გარდაცვალებულთა დასასვენებლად, ღირებული 10 მ.»

რედაქციისაგან.

ზოგიერთი ჩვენი ხელის მომწერლები გვწერენ, რომ მათ გაეგზავნოს ჩვენგან საჩუქრად დანიშნული **ალმანახი** დაბეჭდვისათანავე. ამას გვწერენ ჩვენ იმისთანა ხელის მომწერლებიც, რომელთაც ჩვეულებათ აქვსთ გაზეთის ფულის გამოგზავნა წლის ბოლოს. ამისათვის ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ კარაბადინი დღეიდამ ორი კვირის შემდეგ გაეგზავნება მხოლოდ მათ, ვისაც გაზეთის ფული მთლად შემოტანილი აქვსთ და შემდეგშიაც ამ წიგნს ხელის მომწერლები მიიღებენ, როდესაც გაზეთის ფულს გამოგზავნიან.

***

«მწყემსი»-ს ცალკე ნომრების ყიდვა შეიძლება თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და წიგნების გამომცემელი ამხანაგობის წიგნთ-საცავებში.

რედაქციის პასუხი.

თბილისში. თ. ქორდანიას. სამწუხაროდ, თქვენი წერილი გვიან მიეიღეთ და ამიტომ ამ ნომერში არ იბეჭდება, ხოლო შემდეგ ნომერში უთუოდ მთლად დაიბეჭდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა 1893 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემსზე“

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართველობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა. და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დამორჩებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი ჟურნალისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ.	6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— „ ორივე გამოცემა 6 „	— „ ორივე გამოცემა 4 „
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 მ.

სოფლის მასწავლებელთ «მწყემსი» დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვარელში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვარელში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

ბარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію журналовъ „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მაიღება ხელის-მოწერა 1893 წლისათვის ორ თვიურ საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

„ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნახატები თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთ-ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, სახალხო სათამაშონი ღა საჯარო შონი, სამათემატიკო-ამოცანები, იგავები. ანდაზები, გამოცანები, ნარეკი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საეკეესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ეღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ნახატებიანი ახალი ჟურნალი

„კვალი“

(დამატება «ჯეჯილისა»)

გამოვა 1893 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდის.

ხელის მოწერა მიაღებს ტფილისში არწუნისეულ ქარავასლის სახალხო სამკითხველოში. ქალაქს გარეშე ხელის მომწერთა შეუძლიანთ მიიქცენ «ჯეჯილის» რედაქციაში ამ ჟურნალის დასაბარებლათ.

წლიურად ეღირება გაუგზავნელად 7 მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მან.

ვინც «ჯეჯილსა» და «კვალს» ერთად დაიბარებს, იმათთვის წლიურად ეღირება გაუგზავნელად 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

რედაქტორი-გამომცემელი ან. თ-წერეთელისა.

შინაარსი: სამგალითო ბერი—მისიონერი შთამამავლობით სვანი.—კიდევ ორიოდე სიტყვა ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ.—ლია წერილი ბ. ქართლოსიძეს.—„დანიშნულების განუმარტებელად“ ფულების შეწირვის გამო.—პედაგოგის ისტორიიდგან.—გონებითი წარმატებაში აქვს თუ არა მნიშვნელობა ჩამომავლობას?—მცირე შენიშვნა მეგრული ლიტერატურის შემქმნელებს.— ნეკროლოგი. — ფუფუნება.—წერილები რედაქციის მიმართ.—ახალი ამბები და შენიშვნები.—რედაქციისგან.—რედაქციის პასუხი.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Дозв. цензурою. Кутаисъ, 28 Февраля 1893 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананoвыхъ на Нѣмецкой ул.